დამტკიცებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
2013 წლის 21 აგვისტოს №30 დადგენილებით

# სარჩევი


ნაწილი I. საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი....3
თავი I. საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი....3
საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილების ვადა....3

თავი II. საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობის წესი....4
საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების მომზადება....4
საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის მიმდინარეობა....4
საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი....4
საოლქო საარჩევნო კომისიის საქმისწარმოების წესი....5
საოლქო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები....5
საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე განკარგულების მიღების წესი....6
საოლქო საარჩევნო კომისიის ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციაში/კამპანიაში....6

თავი III. საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა....7
საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა....7
საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის არჩევის წესი....7

ნაწილი II. საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში....8
თავი I. ამომრჩეველთა სიები....8
მონაცემთა გადამოწმება ამომრჩეველთა ერთიან სიაში....8
ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანა....9
ამომრჩევლის მონაცემების ბარათი....9
ამომრჩეველთა სპეციალური სია....10
გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი....11

თავი II. საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის გადაცემა....12
საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემა საუბნო საარჩევნო კომისიისათვის....12

ნაწილი III. საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია....13
თავი I. დამკვირვებელთა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაცია....13
დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია....13
საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა რეგისტრაცია....15

პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაცია .................... 15

**ნაწილი IV. საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამება** ........................................ 16

**თავი I. დოკუმენტაციის მიღება/დახარისხება საოლქო საარჩევნო კომისიაში** .................................. 16

დოკუმენტაციის მიღება/დახარისხება ........................................................................................ 16

**თავი II. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში** ........................................................................................................ 17

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამება ........................................ 17

საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმება .................................................. 17

საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა.......................................................................................................................... 18

**ნაწილი V. განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესები**.......................................................... 18

განცხადება/საჩივრები კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე.................... 18

განცხადება/საჩივრებისაარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე (გარდა კენჭისყრის დღისა)....... 22

საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებების გასაჩივრების ვადა და წესი.............................................................................................................. 23

**დანართი №1.** განცხადება/საჩივარი.......................................................................................... 24

**დანართი №2.** საარჩევნო კომისიაში წარდგენილი განცხადება/საჩივრის რეკვიზიტები..................... 25

**დანართი №3.** ცნობა განცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ................................. 26

**დანართი №4.** საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრება.. ..................................................................................................................... 27

**დანართი №5.** მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების აქტი ........................................................ 28

## თავი I. საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი

### საოლქო საარჩევნო კომისიის დაკომპლექტების წესი და უფლებამოსილების ვადა

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 19. მუხლი 20)*

საოლქო საარჩევნო კომისია შედგება 13 წევრისაგან:

- 5 წევრს ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისია (5 წლით);
- 7 წევრს ნიშნავენ პარტიები (ინიშნებიან არჩევნების დანიშვნის შემდეგ და უფლებამოსილება უწყდებათ არჩევნების საბოლოო შედეგების გამოცხადებისთანავე);
- 1 წევრს ირჩევს ცენტრალური საარჩევნო კომისია.

### საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები და მათი უფლებამოსილებები

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 20. მუხლი 22)*

საოლქო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირები არიან:

- კომისიის თავმჯდომარე;
- თავმჯდომარის მოადგილე;
- კომისიის მდივანი.

### კომისიის თავმჯდომარე:

- უძღვება კომისიის სხდომას;
- განკარგავს კომისიის ფინანსურ სახსრებს;
- დავალებას აძლევს თავმჯდომარის მოადგილეს, კომისიის მდივანს, კომისიის სხვა წევრებს, დამხმარე და ტექნიკურ პერსონალს;

### თავმჯდომარის მოადგილე:

- ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას, თუ კომისიას არ ჰყავს თავმჯდომარე ან მას არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება;
- კომისიის თავმჯდომარის განკარგულებით ახორციელებს კომისიის თავმჯდომარის ცალკეულ უფლებამოსილებას.

### კომისიის მდივანი:

- ანაწილებს კომისიაში შეტანილ საარჩევნო საბუთებსა და კორესპონდენციას;
- აძლევს შესაბამის მოწმობებს საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლებს;
- განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიაში დანიშნულ დამკვირვებლებს და აძლევს მათ სათანადო მოწმობებს;
- განკარგულებით რეგისტრაციაში ატარებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლებს და აძლევს მათ სააკრედიტაციო ბარათებს (მოწმობებს);
- ამზადებს კომისიის განკარგულებათა პროექტებს, ადგენს კომისიის სხდომათა ოქმებს, მათ შორის, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს.

### საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომების მომზადება

*(საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9)*

**კომისიის თავმჯდომარე** საკუთარი ინიციატივით ან მისი მოადგილის მოთხოვნით იწვევს საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომას .

**კომისიის მდივანი** სხდომის მოწვევის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისთანავე, საოლქო საარჩევნო კომისიაში თვალსაჩინო ადგილას აკრავს განცხადებას სხდომის მოწვევის შესახებ, სხდომის თარიღის, ზუსტი დროისა და სავარაუდო დღის წესრიგის მითითებით.

**თავმჯდომარის მოადგილე**, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში კომისიის მდივანი, პირადად არის პასუხისმგებელი სხდომის თარიღი და მისი დაწყების ზუსტი დრო შეატყობინოს კომისიის ყველა წევრს.

### საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომა ღიაა

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.15)*

კომისიის სხდომაზე დასწრების უფლება აქვთ:

- ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს და კომისიის წარმომადგენლებს;
- ცესკოს და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის აპარატების თანამშრომლებს;
- შესაბამის კომისიაში აკრედიტებულ მედიის წარმომადგენლებს;
- საარჩევნო სუბიექტების თითო წარმომადგენელს შესაბამის კომისიაში;
- ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციების თითო დამკვირვებელს;
- საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების თითო დამკვირვებელს (თარჯიმანთან ერთად).

წესრიგის დარღვევისა და კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლის შემთხვევაში, დამრღვევი პირის გაძევების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს საარჩევნო კომისია, რაც აღინიშნება სხდომის ოქმში.

### საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის მიმდინარეობა

*(საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 9. მუხლი 10)*

საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომას უძღვება კომისიის თავმჯდომარე ან მისი მოადგილე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, არანაკლებ 7 წევრი. კომისიის წევრები სხდომაზე დასწრებას ადასტურებენ დასწრების ფურცელზე ხელმოწერით. კომისიის სხდომის დღის წესრიგს ამზადებს კომისიის მდივანი.

საკითხს კენჭი ეყრება წინადადებათა შემოსვლის რიგის მიხედვით. კომისიის ყველა წევრს დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით უფლება აქვს სიტყვით გამოვიდეს 2 წუთის განმავლობაში. კომისიის სხდომაზე დასწრების უფლების მქონე პირები სხდომაზე სიტყვით გამოდიან სხდომის თავმჯდომარის თანხმობით კომისიის წევრების შემდეგ.

### საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომის ოქმი

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.7,9)*

საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომებზე საკითხთა განხილვისა და გადაწყვეტილებათა მიღების მიმდინარეობა ფიქსირდება სხდომის ოქმში. კომისიის მდივანი სხდომის ოქმს

აფორმებს სხდომიდან 1 დღის ვადაში და რეგისტრაციაში ატარებს სარეგისტრაციო ჟურნალის გასული დოკუმენტაციის ნაწილში. სხდომის ოქმს ხელს აწერენ სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

ყურადღება!

- კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს გამოთქვას განსხვავებული აზრი, რომელიც შეიტანება სხდომის ოქმში.
- განსხვავებული აზრის მქონე კომისიის წევრი ვალდებულია პატივი სცეს და დაემორჩილოს კომისიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მას არა აქვს უფლება თავისი ქმედებით/უმოქმედობით ხელი შეუშალოს კომისიის გადაწყვეტილებათა აღსრულებას.

## საოლქო საარჩევნო კომისიის საქმისწარმოების წესი

*(საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 11)*

საოლქო საარჩევნო კომისიაში წარმოებს სარეგისტრაციო ჟურნალი, რომლის წარმოებაზე პასუხისმგებელია კომისიის მდივანი.

სარეგისტრაციო ჟურნალი იხურება ყოველი დღის 18 საათზე, ჟურნალის ორივე ნაწილში, უკანასკნელი ჩანაწერის შემდგომ კეთდება აღნიშვნა - „ჟურნალი დახურულია", მიეთითება თარიღი და ზუსტი დრო. აღნიშნულ ჩანაწერს კომისიის მდივანი ადასტურებს ხელმოწერით.

## საოლქო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტები

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 30.1. ბ; საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 7)*



საოლქო საარჩევნო კომისიის სამართლებრივი აქტებია:

- კომისიის განკარგულება;
- კომისიის თავმჯდომარის განკარგულება;
- კომისიის მდივნის განკარგულება;
- კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

## საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 21)*

საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება განკარგულებით. კომისიის განკარგულება გამოიცემა:

- საარჩევნო უბნების შექმნისა და საზღვრების დაზუსტების შესახებ;
- საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის მონაცემების შეცვლის შესახებ;
- საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების ბათილად ცნობის შესახებ;
- საუბნო საარჩევნო კომისიის, მისი თანამდებობის პირის გადაწყვეტილების გაუქმების შესახებ;
- ადგილობრივი ორგანიზაციისათვის ადგილობრივი დამკვირვებლის სტატუსის მინიჭების შესახებ.

კომისიის განკარგულებას ხელს აწერს სხდომის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

## საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის განკარგულება გამოიცემა:

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 22.1; საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 1.6)*

- თავმჯდომარის მოადგილისათვის ცალკეულ უფლებამოსილებათა გადაცემის შესახებ;
- საარჩევნო პერიოდში კომისიის მუშაობის პერიოდულობისა და სამუშაო დღის ხანგრძლივობის განსაზღვრის შესახებ;
- საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომის მოწვევის შესახებ.

### კომისიის მდივნის განკარგულება გამოიცემა:

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 22.3.ბ-დ)*

- მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ;
- არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ადგილობრივი ორგანიზაციის მიერ საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნული დამკვირვებლების რეგისტრაციაში გატარების შესახებ;
- საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის რეგისტრაციაში გატარების შესახებ.

### კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელი ოქმი

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 70. 2; მუხლი 75.4 )*

შემაჯამებელი ოქმი არის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრისა და არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

### საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე განკარგულების მიღების წესი

*(საარჩევნო კოდექსი - 8.4; საოლქო საარჩევნო კომისიის რეგლამენტი - მუხლი 7.4; მუხლი 10)*

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულებათა პროექტს ამზადებს კომისიის მდივანი. კომისიის განკარგულება მიღებულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ კომისიის სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა (არა ნაკლებ 5 წევრი).

საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილებები, რომლებიც შეეხება საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, მათ შორის, საარჩევნო უბნის შედეგების გაუქმებას, საუბნო საარჩევნო კომისიიდან შემოსული პაკეტების გახსნასა და საარჩევნო ბიულეტენებისა და სპეციალური კონვერტების გადათვლას, მიიღება დამსწრეთა არანაკლებ ორი მესამედის მიერ.

ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარის ხმა გადამწყვეტად ითვლება. განკარგულება ხელმოწერისთანავე უნდა გამოიკრას საოლქო საარჩევნო კომისიაში თვალსაჩინო ადგილას.

### საოლქო საარჩევნო კომისიის ჩართულობა და შეზღუდვები წინასაარჩევნო აგიტაციაში/კამპანიაში

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 45.9)*

საოლქო საარჩევნო კომისია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა მიერ გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის საფუძველზე საარჩევნო სუბიექტებისთვის, მათთან შეთანხმებით, ადგენს საარჩევნო ღონისძიებების გამართვის განრიგს (თუ მოხდა ღონისძიებათა გადაფარვა და საარჩევნო სუბიექტები ვერ შეთანხმდებიან, ღონისძიებათა თანამიმდევრობა წილისყრით განისაზღვრება).

საოლქო საარჩევნო კომისიამ შენობა-ნაგებობის გამოყენების მოთხოვნის თაობაზე საარჩევნო სუბიექტის შესაბამის მიმართვას წერილობით, დასაბუთებულად უნდა უპასუხოს მიმართვიდან არაუგვიანეს 24 საათისა. ამ ვადაში პასუხის გაუცემლობა ჩაითვლება მიმართვაზე თანხმობად.

**ყურადღება!**
**საარჩევნო კომისიის წევრს ეკრძალება წინასაარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობა.**

**ყურადღება!**
**დისციპლინური გადაცდომისთვის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა მიმართ საოლქო საარჩევნო კომისიამ, შეიძლება გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომები** *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 28).*

## თავი III. საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა

### საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 8.23; მუხლი 25.21)*

საუბნო საარჩევნო კომისიის პირველი სხდომა იმართება არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 34-ე დღისა (23 სექტემბერი). სხდომა მოიწვევა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, მაგრამ არანაკლებ 7 წევრი. სხდომას თავმჯდომარის არჩევამდე ხელმძღვანელობს კომისიის უხუცესი წევრი.

### საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის არჩევის წესი

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 25)*

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი ირჩევა კომისიის წევრთაგან, სახელობითი კენჭისყრით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით. კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს კომისიის არანაკლებ 2 წევრს.

**ყურადღება!**
- **ერთი და იმავე კანდიდატურის დასახელება შეიძლება მხოლოდ ორჯერ.**
- **დასახელებულ კანდიდატს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს კენჭისყრაში და ხმა მისცეს საკუთარი კანდიდატურის სასარგებლოდ.**
- **საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი არ შეიძლება იყვნენ ერთი და იგივე საარჩევნო სუბიექტის მიერ დანიშნული კომისიის წევრები (ერთ საარჩევნო სუბიექტად მოიაზრება ბლოკი "ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნება" და მასში შემავალი პოლიტიკური პარტიები: "ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო", კონსერვატიული პარტია, პ/მ "მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს", პ/გ "ეროვნული ფორუმი", რესპუბლიკური პარტია, ჩვენი საქართველო - თავისუფალი დემოკრატები).**

საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/თავმჯდომარის მოადგილის/მდივნის არჩევა ფორმდება საუბნო საარჩევნო კომისიის განკარგულებით.

თუ დადგენილ ვადაში ვერ აირჩა საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე/თავმჯდომარის მოადგილე/მდივანი, აღნიშნული თანამდებობის პირის მოვალეობას მის არჩევამდე ასრულებს

კომისიის ის წევრი, რომელიც არჩევნებისას ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, ხოლო ხმათა თანაბრობის შემთხვევაში – მათგან წილისყრით განსაზღვრული პირი.

## ნაწილი II

## საოლქო საარჩევნო კომისიის საქმიანობა წინასაარჩევნო პერიოდში

## თავი I. ამომრჩეველთა სიები

### საუბნო საარჩევნო კომისიისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის გადაცემა და მისი გამოქვეყნების წესი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31)*

საუბნო საარჩევნო კომისიას არა უგვიანეს პირველი შეკრების დღისა (კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 34-ე დღე - 23 სექტემბერი) გადაეცემა საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და კომისიის მდივნის მიერ ხელმოწერილი ამომრჩეველთა ერთიანი სია, რომელიც განკუთვნილია საჯარო ინფორმაციისთვის (კედლის სია).

კედლის სია დაუყოვნებლივ უნდა გამოიკრას საუბნო საარჩევნო კომისიის შენობაში თვალსაჩინო ადგილას.

საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მეორე დღისა (25 ოქტომბერი) გადაეცემა დაზუსტებული სიების საბოლოო ვერსიები:

- საარჩევნო კომისიისათვის განკუთვნილი ვერსია (სამაგიდო სია);
- საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილი ვერსია (კედლის სია).

**ყურადღება!**

- **კედლის სიების თავდაპირველი ვერსია უნდა ჩამოიხსნას და იმავე ადგილას გამოიკრას დაზუსტებული ვერსია.**
- **დაუშვებელია სამაგიდო სიისა და მისი ასლის საჯარო ინფორმაციის სახით გაცემა.**

### მონაცემთა გადამოწმება ამომრჩეველთა ერთიან სიაში
*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31.7)*

საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას, დამკვირვებელ ორგანიზაციას, ამომრჩეველს უფლება აქვს გაეცნოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში არსებულ ამომრჩეველთა სიების საჯარო ინფორმაციისათვის მიკუთვნებულ ვერსიას. უზუსტობების აღმოჩენის შემთხვევაში მათ შეუძლიათ მოითხოვონ ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანა არჩევნებამდე არა **უგვიანეს მე-16 დღისა** (11 ოქტომბერი). ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის თაობაზე განცხადებები შეიტანება **საარჩევნო ადმინისტრაციაში**.

**ყურადღება!**

**ამომრჩეველს უფლება აქვს, მოითხოვოს მხოლოდ მისი და მისი ოჯახის წევრთა შესახებ არსებული ყველა მონაცემის გაცნობა და მათში ცვლილების შეტანა.**

## ამომრჩევლის მონაცემების ბარათი

*(საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2013 წლის 4 ივლისის №17 დადგენილება)*

საოლქო საარჩევნო კომისია ზედამხედველობას უწევს საუბნო საარჩევნო კომისიების მიერ ამომრჩევლების ბარათების დარიგების პროცესს.

ამომრჩეველთა სიების გადამოწმების მიზნით, საუბნო საარჩევნო კომისიის წევრები კენჭისყრამდე არაუადრეს 30-ე (27 სექტემბერი) და არაუგვიანეს მე-20 (7 ოქტომბერი) დღემდე არიგებენ ამომრჩევლის მონაცემების ბარათებს.

**ყურადღება!**

**ამომრჩევლის მონაცემების ბარათების დარიგება უნდა მოხდეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილი გრაფიკის შესაბამისად, კომისიის არანაკლებ 2 წევრის მიერ ერთდროულად. ამ მოთხოვნათა არაჯეროვანი შესრულება განიხილება დისციპლინურ გადაცდომად.**

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების ასლი, ამომრჩეველთა სიებში ცვლილებების შეტანის თაობაზე, დაუყოვნებლივ ეგზავნება:

- შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას;
- საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას;
- იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ტერიტორიულ ორგანოს, მათ ხელთ არსებულ მონაცემთა ბაზებში შესაბამისი ასახვის მიზნით.

იუსტიციის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოში განცხადების წარდგენის ბოლო ვადაა კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-16 დღე (11 ოქტომბერი). შესაბამისი ცვლილებების შეტანის შესახებ ამ ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლი დაუყოვნებლივ, მაგრამ კენჭისყრამდე არაუგვიანეს მე-12 დღისა (15 ოქტომბერი), ეგზავნება ამომრჩეველთა ერთიან სიაში ასახვის მიზნით, შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიასა და საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას.

## სიების შემოწმების შედეგების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანო

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31.8)*

საარჩევნო პერიოდში საარჩევნო ადმინისტრაცია საკუთარი ინიციატივითა და განცხადება/საჩივრების საფუძველზე ამოწმებს ამომრჩეველთა სიებს.

საოლქო საარჩევნო კომისია განცხადებებსა და საუბნო საარჩევნო კომისიის შუამდგომლობებს განიხილავს 2 კალენდარული დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-14 დღისა (13 ოქტომბერი) და იღებს გადაწყვეტილებას:

- ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანის შესახებ, ან
- ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ.

**ყურადღება!**

**განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/ სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და მისი გამოცემის მომდევნო დღიდან, მოთხოვნისთანავე, უნდა გადაეცეს განმცხადებელს.**

### ამომრჩეველთა ერთიან სიაში ცვლილებების შეტანა

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 31.9)*

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანის შესახებ 2 დღის ვადაში გადაეცემა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას. მოთხოვნის დაკმაყოფილების შემთხვევაში:

- ამომრჩეველი შეიყვანება სიაში, ან
- ამომრჩევლის მონაცემი ამოიღება ამომრჩეველთა სიებიდან.

**ყურადღება!**

**ამომრჩეველი, რომელიც მოხსნილი იქნა საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციიდან ან რომლის რეგისტრაციაც ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილებით, საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებისთვის ხმას აძლევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციას გაივლის 2013 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.**

### საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულების გასაჩივრების წესი

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლები 31.10)*

საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება სიაში ცვლილების შეტანის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ, მისი გამოცემიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

სასამართლოს მიერ სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში სასამართლოს გადაწყვეტილება 2 დღის ვადაში, მაგრამ არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-11 დღისა (16 ოქტომბერი), უნდა გადაეცეს საოლქო საარჩევნო კომისიას. კომისიამ სათანადო ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს ცესკოსა და შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

### ამომრჩეველთა სპეციალური სია

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 32)*

საოლქო საარჩევნო კომისიას ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში შეჰყავს:

- საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეები, რომლებიც საარჩევნო კომისიებში საქმიანობის გამო კენჭისყრის დღეს ვერ მონაწილეობენ არჩევნებში თავიანთი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით (საოლქო საარჩევნო კომისიას ეს პირები სიაში შეჰყავს წინასწარ განსაზღვრულ საარჩევნო უბანში, კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-5 დღისა);
- ამომრჩევლები, რომლებიც სამკურნალოდ წვანან საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებაში და, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, კენჭისყრის დღისთვის ვერ იქნებიან გაწერილი ამ დაწესებულებიდან (ამ პირთა სიას სამკურნალო დაწესებულების ხელმძღვანელი გადასცემს საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა);
- ამომრჩევლები, რომლებიც კენჭისყრის დღეს პატიმრობაში იმყოფებიან (საოლქო საარჩევნო კომისიას ამ პირთა სიას გადასცემს სასჯელაღსრულების დაწესებულების ხელმძღვანელი კენჭისყრამდე არა უგვიანეს მე-6 დღისა);
- საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამსახურების

სამხედრო მოსამსახურეები (ამ პირთა სიას ადგენს სამხედრო ნაწილის მეთაური და საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემს **საარჩევნო წლის არა უგვიანეს 1 ივლისისა,** ხოლო სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის შედეგების გათვალისწინებით ასევე, კენჭისყრამდე **არა უგვიანეს მე-6 დღისა**);

- კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფი ამომრჩევლები (ამ პირთა სიას ადგენს შესაბამისი საკონსულო დაწესებულების ხელმძღვანელი და კენჭისყრამდე **არა უგვიანეს მე-20 დღისა** გადასცემს ცესკოს).

საოლქო საარჩევნო კომისია კენჭისყრის დღემდე **არაუგვიანეს მე-3 დღისა** (24 ოქტომბერი) ადგენს და განკარგულებით ამტკიცებს ამომრჩეველთა სპეციალურ სიას და დაუყოვნებლივ გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

სპეციალური სიების შედგენის შემდეგ, საოლქო საარჩევნო კომისია იმ ამომრჩეველთა მონაცემებს, რომლებიც შეყვანილები არიან სხვა უბნის სპეციალურ სიებში, გადასცემს შესაბამის საუბნო საარჩევნო კომისიას.

საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანმა სპეციალურ სიაში შეყვანილი ან სხვა უბნის სპეციალურ სიაში გადაყვანილი ამომრჩეველი უნდა მოძებნოს ამომრჩეველთა ერთიან სიაში (სამაგიდო და ასევე კედლის ეგზემპლარებში) და მისი გვარის გასწვრივ გრაფაში "ფაქტობრივი მდგომარეობა" გააკეთოს აღნიშვნა: "კომისიის წევრია", "პატიმრობაშია", "საავადმყოფოშია", "სამხედრო სამსახურშია", ,,იმყოფება უცხოეთში", "საკონსულო აღრიცხვაზეა".

თუ ამომრჩეველთა სიებში რეგისტრაციის მოთხოვნით საოლქო საარჩევნო კომისიას მიმართავს ამომრჩეველი, რომელმაც არჩევნების დღემდე არა უგვიანეს მე-16 დღისა (11 ოქტომბერი) ვერ მოასწრო მიემართა კომისიისთვის სიაში რეგისტრაციის მოთხოვნით (**ჩამოვიდა საზღვარგარეთიდან, გამოეწერა საავადმყოფოდან, განთავისუფლდა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან**), განცხადებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში (ცნობა საზღვრის გადაკვეთის შესახებ/ჩანაწერი პასპორტში, ცნობა სამკურნალო დაწესებულებიდან გამოწერის შესახებ, ცნობა თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან განთავისუფლების შესახებ), მას რეგისტრაციაში გაატარებს კომისია განცხადების მიღებიდან 2 დღის ვადაში, ხოლო თუ კენჭისყრის დღემდე დარჩენილია 2 დღეზე ნაკლები – დაუყოვნებლივ (ამომრჩევლის მონაცემები შეიტანება ამომრჩეველთა სპეციალურ სიაში).

**ყურადღება!**
**საოლქო საარჩევნო კომისიამ უარყოფითი გადაწყვეტილების შესახებ ამომრჩეველს უნდა აცნობოს დაუყოვნებლივ.**

### გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირების წესი

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 33; მუხლი 34.2.ე)*

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ფორმირებაზე პასუხისმგებელია საუბნო საარჩევნო კომისია. გადასატანი საარჩევნო ყუთის სია დგება ერთიანი და სპეციალური სიების საფუძველზე.

ამომრჩეველი გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეჰყავთ თუ:

- შეზღუდული შესაძლებლობის ან/და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია კენჭისყრის შენობაში მისვლა. ასეთი ამომრჩევლების რაოდენობა **არ უნდა აღემატებოდეს** საარჩევნო უბანზე ერთიან სიაში არსებული ამომრჩევლების **3 პროცენტს**.

**ყურადღება!**

**აღნიშნული რაოდენობის შევსების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ყოველი ახალი შემოსული განცხადების შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს საოლქო საარჩევნო კომისიას. ამომრჩეველთა გადასატანი ყუთის სიაში შეყვანის მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისია სხდომაზე დამსწრეთა ორი მესამედით.**

- იმყოფება საარჩევნო უბნის ტერიტორიაზე, მაგრამ ძნელად მისადგომ ადგილას (ასეთ შემთხვევაში რეკომენდებულია კონსულტაციის გავლა საოლქო საარჩევნო კომისიასთან).

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში  სპეციალური სიისა და საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე შეჰყავთ ამომრჩეველი, რომელიც სამკურნალოდ წევს საავადმყოფოში ან სხვა სტაციონარულ  სამკურნალო დაწესებულებაში, იმყოფება პატიმრობაში, სამხედრო მოსამსახურეა, მსახურობს სახელმწიფო საზღვარზე განლაგებულ სამხედრო ნაწილში, რომელიც საარჩევნო უბნიდან შორსაა განლაგებული, და მასში არ იხსნება საარჩევნო უბანი.

გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის შეყვანის შემთხვევაში ერთიანი და სპეციალური სიების გასწვრივ გრაფაში “ფაქტობრივი მდგომარეობა” უნდა გაკეთდეს აღნიშვნა - ”გადასატანი ყუთი”.

## თავი II. საარჩევნო დოკუმენტაციისა და ინვენტარის გადაცემა

### საარჩევნო დოკუმენტაციის გადაცემა საუბნო საარჩევნო კომისიისათვის

საოლქო საარჩევნო კომისია, კენჭისყრის მზადებისა და ჩატარების მიზნით, კენჭისყრის დღემდე საუბნო საარჩევნო კომისიას გადასცემს:

### საარჩევნო დოკუმენტაციას

- ამომრჩეველთა ერთიანი სიის საბოლოო ვერსიას;
- ამომრჩეველთა ბარათებს;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის ბლანკებს;
- საარჩევნო ბიულეტენების ბლოკნოტებს;
- სპეციალურ კონვერტებს;
- კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნს;
- საკონტროლო ფურცლებს;
- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმსა  და შესწორების ოქმის ფორმებს;
- სადემონსტრაციო ოქმს.

### საარჩევნო ინვენტარს

- ძირითად და გადასატან გამჭვირვალე საარჩევნო ყუთებს;
- საარჩევნო ყუთების ლუქებს;
- კენჭისყრის კაბინებს;
- მარკირების სითხეს და მარკირების შესამოწმებელი სპეციალური ხელსაწყოს (ულტრაიისფერი ფარანი);
- საუბნო საარჩევნო კომისიის სპეციალურ ბეჭედს;
- რეგისტრატორების ბეჭდებს;

- ასლგადამღებ მანქანას;
- სამელნე ბალიშებს.

### სხვა საარჩევნო მასალას

- პრეზიდენტობის კანდიდატების სიას;
- საარჩევნო ბიულეტენის შევსების ინსტრუქციას;
- ამონარიდი კანონიდან, თუ რა შემთხვევაშია ბიულეტენი ბათილი;
- საარჩევნო დოკუმენტაციის შესაფუთ კონვერტებს.

საარჩევნო ბიულეტენები და სპეციალური კონვერტები საოლქო საარჩევნო კომისიამ უნდა გადასცეს საუბნო საარჩევნო კომისიას კენჭისყრამდე არა უგვიანეს 12 საათისა, რა დროსაც დგება მიღება-ჩაბარების აქტი *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 63.9,10)*

**ყურადღება!**
**აქტის გაფორმებამდე მიმღები და გამცემი პირები ამოწმებენ ბიულეტენების რეკვიზიტების შესაბამისობას და ითვლიან გადასაცემი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას. ამის შემდეგ საარჩევნო ბიულეტენები კვლავ ილუქება, რასაც ხელის მოწერით ადასტურებენ მხარეები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 63.11).***

## ნაწილი III

## საარჩევნო პროცესში მონაწილე პირთა რეგისტრაცია

## თავი I. დამკვირვებელთა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაცია

### დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 39.2, მუხლი 40)*

ადგილობრივ დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელიც დაკვირვებას ახორციელებს ერთ საარჩევნო ოლქში, რეგისტრაციაში ატარებს საოლქო საარჩევნო კომისია.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს 1 წლისა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული ადგილობრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომლის წესდება ან დებულება (სადამფუძნებლო დოკუმენტი) რეგისტრაციაში გატარების მომენტისათვის ითვალისწინებს არჩევნების მონიტორინგს ან/და ადამიანის უფლებათა დაცვას და რომელიც არჩევნებზე დაკვირვების მიზნით რეგისტრირებულია ცესკოში ან შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

რეგისტრაციაში გატარების მიზნით ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ განცხადებით უნდა მიმართოს საოლქო საარჩევნო კომისიას არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მე-10 დღისა (17 ოქტომბერი) და წარუდგინოს თავისი სადამფუძნებლო დოკუმენტის/წესდების დამოწმებული ასლი. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს იმ საარჩევნო ოლქის დასახელება, რომელშიც ორგანიზაცია ახორციელებს დაკვირვებას.

კომისია განცხადების მიღებიდან **5 დღის ვადაში** წყვეტს ორგანიზაციის რეგისტრაციის საკითხს.

**ყურადღება!**

- **თუ დამკვირვებელი ორგანიზაცია აკმაყოფილებს საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნებს კომისიას უფლება არა აქვს მას უარი უთხრას რეგისტრაციაზე.**
- **საარჩევნო კომისიის განკარგულება რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ დასაბუთებული უნდა იყოს და ორგანიზაციას უნდა გადაეცეს გადაწყვეტილების მიღებიდან არა უგვიანეს მომდევნო დღისა. ასეთ შემთხვევაში კომისიის განკარგულება მისი მიღებიდან 2 დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში.**

რეგისტრაციაში გატარების შემთხვევაში ადგილობრივმა დამკვირვებელმა ორგანიზაციამ კენჭის-ყრის დღემდე არაუგვიანეს მე-5 დღისა (22 ოქტომბერი). საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანს უნდა წარუდგინოს საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებში დანიშნულ დამკვირვებელთა სია. სიაში უნდა აღინიშნოს დამკვირვებლის ვინაობა:

- სახელი გვარი;
- რეგისტრაციის ადგილი;
- საარჩევნო ოლქი და საარჩევნო უბანი (უბნები), სადაც იგი დააკვირდება არჩევნებს.

სიას უნდა დაერთოს ადგილობრივი დამკვირვებლების საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობების ასლები.

ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივი დამკვირვებელი შეიძლება იყოს საქართველოს მოქალაქე 18 წლის ასაკიდან *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 39.4)*, გარდა:

- სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირისა;
- საქართველოს პარლამენტის წევრისა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს წევრისა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელისა და მისი მოადგილისა;
- მოსამართლისა;
- საქართველოს შინაგან საქმეთა, თავდაცვის და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების, დაზვერვის სამსახურისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებისა;
- პროკურატურის თანამდებობის პირისა;
- საარჩევნო სუბიექტისა და მისი წარმომადგენლისა;
- საარჩევნო კომისიის წევრისა.

### დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებელთა რეგისტრაციის ვადა

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 40.9)*

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია დამკვირვებელთა სიის წარდგენიდან არა უგვიანეს მე-2 დღისა რეგისტრაციაში გაატაროს დამკვირვებელი და დამკვირვებელ ორგანიზაციას გადასცეს დამკვირვებლების მოწმობები.

დამკვირვებლის მოწმობა იმავდროულად წარმოადგენს დამკვირვებლის სამკერდე ნიშანს, ძალაში შედის მოწმობის გაცემის მომენტიდან და ძალას კარგავს არჩევნების საბოლოო შედეგების შეჯამებიდან 2 კვირის შემდეგ.

**ყურადღება!**

**საოლქო საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული დამკვირვებელი, უფლებამოსილია კენჭისყრის დღეს დაკვირვება განახორციელოს შესაბამისი ოლქის ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ საარჩევნო უბანში *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 40.10).***

### საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენელთა რეგისტრაცია

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 42)*

ცესკოს მიერ რეგისტრირებულ პარტიას/საინიციატივო ჯგუფს/საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატს უფლება აქვს დანიშნოს ორი წარმომადგენელი ყოველ საარჩევნო კომისიაში.

წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ საარჩევნო სუბიექტმა განცხადებით უნდა მიმართოს შესაბამის საარჩევნო კომისიას.

საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ განცხადებას ხელს უნდა აწერდეს პარტიის ხელმძღვანელი პირი/საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი ან მათ მიერ უფლებამოსილი პირი, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის, ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი ზემდგომ საარჩევნო კომისიაში და მასში აღნიშნული უნდა იყოს წარმომადგენლის:

- სახელი, გვარი;
- დაბადების წელი;
- მისამართი;
- საკონტაქტო ტელეფონის ნომერი (თუ აქვს).

სათანადო ინფორმაციის სრულყოფილად წარდგენის შემთხვევაში საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, 24 საათის განმავლობაში, განკარგულებით ცნობად იღებს ინფორმაციას წარმომადგენლის რეგისტრაციის შესახებ. კომისიის მდივანი გასცემს წარმომადგენლის მოწმობას, რომელიც იმავდროულად არის სამკერდე ნიშანი.

**ყურადღება!**

**საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს, გარდა კენჭისყრის დღისა გამოიწვიოს ან/და შეცვალოს თავისი წარმომადგენელი, რის თაობაზეც უნდა აცნობოს შესაბამის საარჩევნო კომისიას *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 42.6).***

### პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაცია

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 44)*

რამდენიმე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებათა წარმომადგენლების აკრედიტაციას ახორციელებენ ცესკოს მდივანი ან შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მდივნები, ხოლო მხოლოდ ერთი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე მომუშავე წარმომადგენლების აკრედიტაციას – შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი.

საოლქო საარჩევნო კომისიას კენჭისყრის დღემდე არა უგვიანეს მე-3 დღისა (24 ოქტომბერი). წარედგინება განცხადება პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის შესახებ.

განცხადების წარდგენიდან 1 დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი წყვეტს პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის საკითხს და აკრედიტებულ წარმომადგენელს გადაწყვეტილების მიღებიდან 1 დღის ვადაში გადასცემს წარმომადგენლის მოწმობას. აკრედიტაციაზე უარის თქმის შემთხვევაში იმავე ვადაში გადასცემს სათანადო განკარგულებას.

# ნაწილი IV

## საოლქო საარჩევნო კომისიაში საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება, საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამება

## თავი I. დოკუმენტაციის მიღება/დახარისხება საოლქო საარჩევნო კომისიაში

### დოკუმენტაციის მიღება/დახარისხება

საუბნო საარჩევნო კომისიის უფლებამოსილი პირები საოლქო საარჩევნო კომისიას გადასცემენ საარჩევნო დოკუმენტაციის ყუთს/ტომარას და მისგან განცალკევებით:

- კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმს;
- განცხადებების/საჩივრების, კენჭისყრის დღის ჩანაწერთა წიგნისა და სარეგისტრაციო ჟურნალის დალუქულ კონვერტს.

დოკუმენტაციის მიღება/დახარისხება მიმდინარეობს ქვემოთ მოცემული სქემის მიხედვით.



### ნაკადის მარეგულირებელი კომისიის წევრი:

აკონტროლებს საუბნო საარჩევნო კომისიების უფლებამოსილი პირების (თავმჯდომარეების, მოადგილეების) ნაკადს და აგზავნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შემოწმებაზე პასუხისმგებელ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებთან.

კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შემოწმებაზე პასუხისმგებელი საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

- იბარებენ ოქმებს და საჩივრებს;

- ქვემოთ მოცემული ფორმულით ამოწმებენ კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელ ოქმებს:

სუბიექტების მიერ მიღებულ ხმებს + ბათილი ბიულეტენების რაოდენობა ≤ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობის

- შემოწმებულ ოქმებს გადასცემენ კომისიის მდივანს.

### საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი:

მიღებული ოქმების შესაბამისად აწარმოებს წინასწარი შედეგების შემაჯამებელ ცხრილს (ისე რომ საარჩევნო კომისიაში ყოფნის უფლების მქონე პირებმა თვალყური ადევნონ საარჩევნო უბნებიდან მიღებული ოქმების შემოწმების პროცესს).

**ყურადღება!**
- **თუ ოქმი არასწორად არის შევსებული, ოქმის მონაცემი წინასწარი შედეგების შემაჯამებელ ცხრილში არ შეიტანება;**
- **არასწორად შევსებული ოქმი ცალკე გადაიდება და მას საოლქო საარჩევნო კომისია მოგვიანებით განიხილავს.**

საუბნო საარჩევნო კომისიისგან საარჩევნო დოკუმენტაციის ჩაბარებაზე პასუხისმგებელი კომისიის წევრი აკეთებს ჩანაწერს მასალის მიღების შესახებ და გასცემს მიღება-ჩაბარების აქტს.

## თავი II. საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში

### საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შეჯამება

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 75)*

საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმების საფუძველზე, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის განხილვის შედეგების გათვალისწინებით, კენჭისყრიდან არა უგვიანეს მე-11 დღისა (7 ნოემბერი) საოლქო საარჩევნო კომისია აჯამებს საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგებს და ადგენს შემაჯამებელ ოქმს.

საოლქო საარჩევნო კომისიის ყველა წევრი, რომელიც ესწრება კომისიის სხდომას, ვალდებულია ხელი მოაწეროს არჩევნების შედეგების შემაჯამებელ ოქმს. ოქმი დამოწმდება საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით.

თუ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრი არ ეთანხმება შემაჯამებელ ოქმში შეტანილ მონაცემებს, მას უფლება აქვს, ოქმში აღნიშნოს, რას არ ეთანხმება და ოქმს წერილობით დაურთოს განსხვავებული აზრი.

### საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების გადამოწმება

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 21.ე)*

განცხადების/საჩივრის საფუძველზე, აგრეთვე საკუთარი ინიციატივით საოლქო საარჩევნო კომისია უფლებამოსილია განკარგულებით მიიღოს გადაწყვეტილება საუბნო საარჩევნო

კომისიიდან მიღებული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ.

**ყურადღება!**

**საარჩევნო დოკუმენტაციის გახსნისას საოლქო საარჩევნო კომისიამ უნდა დაიცვას საარჩევნო დოკუმენტაციის გადათვლის შემდეგი თანმიმდევრობა:**

- **ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების რაოდენობა;**
- **ბათილი საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობა;**
- **თითოეული კანდიდატისათვის მიცემულ ხმათა (საარჩევნო ბიულეტენების) რაოდენობა.**

საუბნო საარჩევნო კომისიიდან მიღებული პაკეტების გახსნისა და საარჩევნო ბიულეტენების ხელახლა დათვლის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში კომისიამ უნდა აცნობოს ყველა საარჩევნო სუბიექტსა და დამკვირვებელ ორგანიზაციას, რომელთა წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ ბიულეტენების დათვლას საარჩევნო უბანზე, და მათი სურვილის შემთხვევაში უზრუნველყოს მათი წარმომადგენლების დასწრება ხელახლა დათვლის პროცესზე.

### საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის საჯაროობა

*(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 71.8, 75.7-9)*

კომისია ვალდებულია უზრუნველყოს კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ასლის გამოკვრა საჯარო გაცნობისათვის.

საოლქო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი (კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით), აგრეთვე კომისიის განკარგულებები საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელ ოქმში ცვლილებების შეტანის შესახებ (თუ ასეთი ცვლილებები იქნა შეტანილი) დაუყოვნებლივ გადაეცემა ცესკოს.

კომისია ოქმის ასლს, კომისიის წევრთა თანდართული განსხვავებული აზრებით (ასეთის არსებობისას), მოთხოვნის შემთხვევაში დაუყოვნებლივ გადასცემს უფლებამოსილ ყველა პირს.

ოქმის ასლი უნდა დამოწმდეს საოლქო საარჩევნო კომისიის ბეჭდით და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარისა და საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნის ხელმოწერებით. ოქმის მიღებას წარმომადგენელი/დამკვირვებელი საოლქო საარჩევნო კომისიის სარეგისტრაციო ჟურნალში ხელმოწერით ადასტურებს.

## ნაწილი V

## განცხადება/საჩივრის შეტანისა და განხილვის წესები

### განცხადება/საჩივრები

### კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე

**განცხადება/საჩივრის შემდგენი პირები და მათი უფლებები**

**საუბნო და ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიაში:**

- პარტიის/ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელს

- არჩევნების დამკვირვებლის სტატუსის მქონე ორგანიზაციის დამკვირვებლებს

უფლება აქვთ კენჭისყრის, ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი/გამოვლენილი დარღვევების შესახებ განცხადება/საჩივრით მიმართონ საოლქო საარჩევნო კომისიას საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი” დადგენილი წესით:

- საარჩევნო უბნის გახსნიდან (7 საათიდან) საარჩევნო ყუთის გახსნამდე, გაასაჩივრონ კენჭისყრის დღის პროცედურების დარღვევები *(საარჩევნო კოდექსი - მუხლი 73.1),* რისთვისაც დარღვევის აღმოჩენისთანავე უნდა შეადგინონ განცხადება/საჩივარი (იხ. დანართი №1) საარჩევნო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების დაცვით (იხ. დანართი №2);

**ყურადღება!**
**დანართი №1-ში მოცემული განცხადების/საჩივრის ფორმა სარეკომენდაციო ხასიათისაა და მისი წარდგენა შეიძლება სხვა ფორმითაც, დანართი №2-ით განსაზღვრული რეკვიზიტების გათვალისწინებით.**

- საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე (გარდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის), გაასაჩივრონ ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამების პროცედურების დროს ჩადენილი დარღვევები და მოითხოვონ კენჭისყრის შედეგების გადასინჯვა ან ბათილად ცნობა.

**ყურადღება!**
**განცხადება/საჩივარი საარჩევნო ყუთის გახსნიდან კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე (გარდა კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენისა) ჩადენილ დარღვევებზე საუბნო საარჩევნო კომისიის მიერ ზემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიას გადაეცემა კენჭისყრის დღიდან 3 კალენდარული დღის განმავლობაში. განმცხადებელს/მომჩივანს უფლება აქვს იმავე დარღვევაზე განცხადება/საჩივარი იმავე ვადაში უშუალოდ გადასცეს საოლქო საარჩევნო კომისიას.**

საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი, შედგენიდან 3 კალენდარული დღის ვადაში, საჩივრდება საოლქო საარჩევნო კომისიაში, თუ საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი შედგენილია დანართი №4-ში აღნიშნული საარჩევნო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

### საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის რეგისტრაცია

საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადება/საჩივარს რეგისტრაციაში ატარებს კომისიის მდივანი, შემდეგი წესის დაცვით:

- კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს განმცხადებლის ვინაობას;
- განცხადება/საჩივრის წარმდგენი და მიმღები პირები ხელს აწერენ ჩანაწერის გასწვრივ;
- კომისიის მდივანი, განცხადება/საჩივრის მიღების დადასტურების მიზნით, განმცხადებელს გადასცემს წერილობით ცნობას საკუთარი ხელმოწერით და ბეჭდით (იხ.დანართი №3).

კომისიის მდივანი ვალდებულია დარწმუნდეს, რომ განცხადება/საჩივარი შეიცავს საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი” დადგენილი ყველა საჭირო რეკვიზიტს (იხ. დანართი №2).

**ყურადღება!**
**თუ საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი არ იბარებს განცხადება/საჩივარს განმცხადებელს უფლება აქვს დაუკავშირდეს ცხელ ხაზს ნომერზე: 032-251 00 51**

### განცხადება/საჩივრებზე ხარვეზის დადგენა

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია, განცხადების/საჩივრის წარმდგენს დაუდგინოს ხარვეზი და განუსაზღვროს გონივრული ვადა მის გამოსასწორებლად, თუ განცხადება/საჩივარი არ შეიცავს:

- განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღსა და დროს;
- განმცხადებლის/მომჩივნის სახელს, გვარს და რეგისტრაციის ადგილს;
- საარჩევნო უბნის ნომერს;
- მოწმის არსებობის შემთხვევაში – მის სახელს, გვარს და რეგისტრაციის ადგილს.

ხარვეზის გამოსასწორებლად მიცემული ვადა უნდა იყოს გონივრული, რომ შეძლონ მითითებული ხარვეზის გამოსწორება.

**<u>შენიშვნა:</u> ხარვეზის შევსების გონივრული ვადა დგინდება საოლქო საარჩევნო კომისიის მდივნისა და განცხადება/საჩივრის წარმდგენი პირის შეთანხმების საფუძველზე. ხარვეზის შევსების ვადის თაობაზე მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ვადას ერთპიროვნულად ადგენს საარჩევნო კომისიის მდივანი.**

სარეგისტრაციო ჟურნალში ხარვეზის ჩანაწერის გასწვრივ ხელს აწერენ განცხადების/საჩივრის წარმდგენი და მიმღები პირები.

### ხარვეზის შევსების პროცედურები

განცხადება/საჩივრის წარმდგენს დადგენილ ვადაში უფლება აქვს გამოასწოროს ხარვეზი ანალოგიური განცხადება/საჩივრის წარდგენის გზით, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება ხარვეზის დადგენის საფუძვლები ან/და წარადგინოს განცხადება, სადაც მიეთითება ის მონაცემები, რომელთა გამოც დაუდგინდა ხარვეზი.

ხარვეზის შევსების შემთხვევაში განცხადება/საჩივრის მიმღები პირი სარეგისტრაციო ჟურნალში რეგისტრირებული განცხადების/საჩივრის გასწვრივ აკეთებს ჩანაწერს "შევსებულია", ხარვეზის შევსების ზუსტი დროისა და თარიღის მითითებით. ჩანაწერის გასწვრივ ხელს აწერს განცხადება/საჩივრის წარმდგენი და საოლქო საარჩევნო კომიის მდივანი.

**<u>შენიშვნა:</u> დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში განცხადება/საჩივარი არ განიხილება, რის თაობაზეც საოლქო საარჩევნო კომისია გამოსცემს განკარგულებას (განკარგულების სათაურში უნდა მიეთითოს განუხილველად დატოვების კონკრეტული მიზეზი).**

### რეაგირება განცხადება/საჩივარზე

წარდგენილი განცხადება/საჩივარი **არ განიხილება** და საოლქო საარჩევნო კომისია გამოსცემს განკარგულებას განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ:

- განცხადება/საჩივარი შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- განცხადება/საჩივარში არ არის აღნიშნული დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო;
- განცხადება/საჩივარი საარჩევნო კომისიას გადაეცა კანონით მოთხოვნილი ვადების დარღვევით

განკარგულების სათაურში უნდა მიეთითოს განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების კონკრეტული მიზეზი.

### მხარეების დაბარება განცხადება/საჩივრის განხილვაზე

საოლქო საარჩევნო კომისია ვალდებულია მხარეს საქმის განხილვის დრო და ადგილი შეატყობინოს საქმის განხილვის დაწყებამდე არა უგვიანეს 3 საათისა. თუ საჩივრის ავტორია:

- საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული დამკვირვებელი ორგანიზაცია ან მისი წარმომადგენელი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ ორგანიზაციის საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებულ შესაბამის დამკვირვებელს ან ამ ორგანიზაციას;
- საარჩევნო სუბიექტი ან მისი დანიშნული წარმომადგენელი, საჩივრის განხილვის დროისა და ადგილის შესახებ ეცნობება ამ სუბიექტის მიერ დანიშნულ წარმომადგენელს;
- საარჩევნო კომისიის წევრი, საჩივრის განხილვის შესახებ პირადად მას უნდა ეცნობოს.

საჩივრის განხილვისათვის მხარეები შეიძლება დაბარებულ იქნენ როგორც წერილობით, ისე ტელეფონით (მათ შორის, მობილური ტელეფონით; მოკლე ტექსტური შეტყობინებით), ელექტრონული ფოსტით, ფაქსით ან სხვა ტექნიკური საშუალებებით.

ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარება დასტურდება:
- მის მიერ მითითებულ საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დაკავშირებით;
- ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან მოკლე ტექსტური შეტყობინების შემთხვევაში - შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით.

**შენიშვნა: მხარე დაბარებულად ჩაითვლება, თუ შეუძლებელია მასთან საჩივარში მითითებული ტექნიკური საშუალებებით დაკავშირება (მობილური ტელეფონის, ფაქსის, კომპიუტერის გამორთულ მდგომარეობაში ყოფნის გამო და სხვ.)**

ტექნიკური საშუალებებით მხარის დაბარებისას დგება აქტი, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის სხდომაზე წარმოდგენილ საჩივარს (იხ. დანართი №5). აქტს, კომისიის თავმჯდომარის დავალებით, ადგენს კომისიის ერთ-ერთი წევრი და მას ხელს აწერენ აქტის შემდგენი და საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე.

მხარის გამოუცხადებლობა არ ქმნის საჩივრის განხილვის გადადების საფუძველს.

### განცხადება/საჩივრის განხილვა საოლქო საარჩევნო კომისიაში

საჩივრის განხილვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და საკუთარი ინიციატივით საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მოპოვებული მასალების სათანადო გამოკვლევისა და შესწავლის შემდეგ.

მხარეს უფლება აქვს, საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა საჩივრის განხილვაში.

მხარეს უფლება აქვს საარჩევნო კომისიასთან აწარმოოს ურთიერთობა:
- წარმომადგენლის მეშვეობით;
- ისარგებლოს ადვოკატის დახმარებით.

წარმომადგენელი ვალდებულია საარჩევნო კომისიაში წარადგინოს კანონით დადგენილი წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი საბუთი:
- ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფისა და საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის წარმომადგენლობა დასტურდება წარმომადგენლობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტით;
- ორგანიზაციების (პარტია, დამკვირვებელი ორგანიზაცია) წარმომადგენლობა დასტურდება მათი ხელმძღვანელი პირის მიერ გაცემული მინდობილობით;

- ადვოკატის წარმომადგენლობა დასტურდება მარწმუნებლის მიერ დადგენილი წესით მასზე გაცემული დოკუმენტით (მინდობილობა/ორდერით).

**ყურადღება!**
**თუ წარმომადგენელი არ წარადგენს შესაბამისი წესით დამოწმებულ წარმომადგენლობის დამადასტურებელ საბუთს, მას არ მიეცემა განცხადება/საჩივრის განხილვაში მონაწილეობის უფლება და გადაწყვეტილება მიიღება მისი პოზიციის გაუთვალისწინებლად.**

ხმის დათვლისა და კენჭისყრის შედეგების შეჯამებასთან დაკავშირებულ განცხადება/საჩივარს საოლქო საარჩევნო კომისია განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადების/საჩივრის რეგისტრაციიდან 1 კალენდარული დღის ვადაში. საოლქო საარჩევნო კომისია გადაწყვეტილებას იღებს განკარგულებით, რომელიც შეიძლება გასაჩივრდეს მხოლოდ სასამართლოში საარჩევნო კოდექსით დადგენილი წესით.

## განცხადება/საჩივრები საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევებზე (გარდა კენჭისყრის დღისა)

საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები მათი მიღებიდან 3 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში.

საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებების გამო შეტანილ საჩივარს იხილავს 1 კალენდარული დღის ვადაში.

### საოლქო საარჩევნო კომისიაში განცხადება/საჩივრის რეგისტრაცია

საოლქო საარჩევნო კომისიაში შეტანილ განცხადება/საჩივარს რეგისტრაციაში ატარებს კომისიის მდივანი, შემდეგი წესის მიხედვით:

- კომისიის მდივანი სარეგისტრაციო ჟურნალში მიუთითებს განმცხადებლის ვინაობას;
- განცხადება/საჩივრის წარმდგენი და მიმღები პირები ხელს აწერენ ჩანაწერის გასწვრივ;
- კომისიის მდივანი, განცხადება/საჩივრის მიღების დადასტურების მიზნით, განმცხადებელს გადასცემს წერილობით ცნობას საკუთარი ხელმოწერით და ბეჭდით (იხ.დანართი №3).

**ყურადღება!**
**მხარეები ვალდებულნი არიან განცხადება/საჩივარში, გარდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა, გარკვევით მიუთითონ განცხადება/საჩივრის ავტორის საკონტაქტო (საცხ. ადგილისა და მობილურის) ტელეფონის ნომრები, ასევე დამატებით მითითებული უნდა იქნეს განცხადება/საჩივრის ავტორის ფაქსისა და ელექტრონული ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

### რეაგირება განცხადება/საჩივარზე

წარდგენილი განცხადება/საჩივარი არ განიხილება და საოლქო საარჩევნო კომისია გამოსცემს განკარგულებას განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ, თუ:

- განცხადება/საჩივარი შედგენილია არაუფლებამოსილი პირის მიერ;
- განცხადება/საჩივარი საარჩევნო კომისიას გადაეცა კანონით მოთხოვნილი ვადებისა და წესის დარღვევით.

**ყურადღება!**
**საოლქო საარჩევნო კომისიაში არ ხდება საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევების გამო (გარდა კენჭისყრის დღისა) წარდგენილი განცხადება/საჩივრის ხარვეზის დადგენა. შესაბამისი საფუძვლების არსებობისას განცხადება/საჩივარი ხარვეზის დაუდგენლად რჩება განუხილველი.**

**საოლქო საარჩევნო კომისიაში მხარეების დაბარება განცხადება/საჩივრის განხილვაზე და განცხადება/საჩივრის განხილვა** მიმდინარეობს ერთიანი წესით, რაც განხილულ იქნა კენჭისყრისა და ხმის დათვლის პროცედურების დარღვევებზე წარდგენილ განცხადება/საჩივრებთან მიმართებაში.

## გასაჩივრების ვადა და წესი

### საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები

საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებები, საუბნო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელი პირების გადაწყვეტილებების გამო (მათ შორის შემაჯამებელი ოქმის შედგენის გამო) **2 კალენდარული დღის ვადაში** შეიძლება გასაჩივრდეს შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში.

საოლქო საარჩევნო კომისიის/კომისიის ხელმძღვანელ პირთა გადაწყვეტილებები, გარდა ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებებისა, მისი მიღებიდან **1 კალენდარული დღის ვადაში** შეიძლება გასაჩივრდეს ცესკოში.

**ყურადღება!**
**საოლქო საარჩევნო კომისიის გადაწყვეტილება 2 კალენდარული დღის ვადაში საჩივრდება შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოში შემდეგ გამონაკლის შემთხვევებში:**
- **საოლქო საარჩევნო კომისიის განკარგულება ამომრჩეველთა მონაცემებში/სიებში ცვლილების შეტანაზე უარის თქმის შესახებ;**
- **საარჩევნო კომისიის განკარგულება დამკვირვებელი ორგანიზაციის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ.**

**დანართი №1**

---------------------------------------------------------------------------------------------

ა) განცხადება/საჩივრის საარჩევნო უბანში წარდგენის შემთხვევაში მიეთითება საარჩევნო უბნისა და ოლქის დასახელება და ნომერი

ბ) განცხადება/საჩივრის საარჩევნო ოლქში წარდგენის შემთხვევაში მიეთითება საარჩევნო ოლქის დასახელება და ნომერი

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა / ს ა ჩ ი ვ ა რ ი

(საჭირო გახაზეთ)

განმცხადებელი/მომჩივანი---------------------------------------------------------------------------------

სახელი, გვარი, მისამართი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით და საკონტაქტო ტელეფონის ნომერი

---------------------------------------------------------------------------------------------

ფაქსი, ელ.ფოსტის მისამართი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

დარღვევა: კენჭისყრის პროცედურა ☐ დარღვევის ჩადენის დრო --------------------

საათი, წუთი

ხმის დათვლა/კენჭისყრის შედეგებისბ შეჯამების პროცედურა ☐

№ "---" "------------------" საარჩევნო უბანი

დარღვევის არსი: ------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

მოწმე (არსებობის შემთხვევაში) --------------------------------------------------------------------

სახელი, გვარი, მისამართი რეგისტრაციის ადგილის მიხედვით

დამრღვევის დადგენის შემთხვევაში - მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენაც შესაძლებელი გახდა-------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში) -------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

(სხვა დამატებითი ინფორმაცია) ---------------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ, განიხილოთ ჩემი განცხადება/საჩივარი და მოახდინოთ შესაბამისი რეაგირება (ბათილობის ან სხვა მოთხოვნის შემთხვევაში მიუთითეთ შესაბამისი მოთხოვნა)----------------------------------------------------------------

---------------------------------------------------------------------------------------------

"----" "----------" 20----- წელი

განმცხადებელი/მომჩივანი:

განცხადების/საჩივრის ---------------------------------- -------------------------

(შედგენის დრო (საათი, წუთი)) ხელმოწერა

**დანართი №2**

**საარჩევნო კომისიაში წარდგენილი განცხადება/საჩივრის რეკვიზიტები**

განცხადებაში/საჩივარში აღინიშნება:

განცხადების/საჩივრის შედგენის თარიღი და დრო*;

განმცხადებლის/მომჩივნის სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი*;

საარჩევნო უბნის ნომერი*;

მოწმის არსებობის შემთხვევაში – მისი სახელი, გვარი და რეგისტრაციის ადგილი*;

დარღვევის არსი და მისი ჩადენის დრო**;

დამრღვევის დადგენის შემთხვევაში – მისი ის მონაცემები, რომელთა დადგენაც შესაძლებელი გახდა**;

დამრღვევის ახსნა-განმარტება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**;

განმცხადებლის/მომჩივნის საკონტაქტო ტელეფონის (საცხოვრებელი ადგილის ან/და მობილურის) ნომერი***;

ასევე განმცხადებლის/მომჩივნის ფაქსი და ელექტრონული ფოსტის მისამართი (მათი არსებობის შემთხვევაში)***;

სხვა დამატებითი ინფორმაცია.

* აღნიშნული რეკვიზიტების მიუთითებლობა არაზუსტად ან არასრულყოფილად წარმოადგენს განცხადება/საჩივარზე ხარვეზის დადგენის საფუძველს, ხოლო ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში, მისი განუხილველად დატოვების საფუძველს.

** აღნიშნული რეკვიზიტების მიუთითებლობა წარმოადგენს ხარვეზის დადგენის გარეშე განცხადება/საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს.

*** აღნიშნული რეკვიზიტების მიუთითებლობა არაზუსტად ან არასრულყოფილად არ შეიძლება გახდეს განცხადება/საჩივრის ხარვეზი დადგენის და განუხილველად დატოვების საფუძველი, მაგრამ შეიძლება გახდეს მხარის საჩივრის განხილვაზე დაბარების შეუძლებლობის საფუძველი.

**დანართი № 3**

№ “……”……………საოლქო საარჩევნო კომისია

**ცნობა**

**განცხადება/საჩივრის რეგისტრაციაში გატარების შესახებ**

განცხადება/საჩივრის მიღების თარიღი: ..................................................................

განცხადება/საჩივრის მიღების დრო: ...............................................................................................

განცხადება/საჩივრის სარეგისტრაციო ნომერი: .....................................................

კომისიის მდივანი: ...................................

/ ხელმოწერა /

**საუბნო საარჩევნო კომისიის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის გასაჩივრება საოლქო საარჩევნო კომისიაში შესაძლებელია, თუ ოქმში აღნიშნული არ არის ან არაზუსტია:**

- ✓ საარჩევნო ოლქის ნომერი და დასახელება, საარჩევნო უბნის ნომერი;
- ✓ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი იმ საარჩევნო უბნის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც მიმაგრებულია ძირითად საარჩევნო უბანზე;
- ✓ არჩევნების/რეფერენდუმის დასახელება;
- ✓ კენჭისყრის თარიღი (თუ ეს არის განმეორებითი კენჭისყრა ან არჩევნების მეორე ტური, ესეც უნდა აღინიშნოს);
- ✓ საუბნო საარჩევნო კომისიის ბეჭდისა და ამომრჩეველთა რეგისტრატორების ბეჭდების ნომრები;
- ✓ ერთიან სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
- ✓ სპეციალურ სიაში ამომრჩეველთა რაოდენობა;
- ✓ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა ამომრჩეველთა სიებში 12 საათსა და 17 საათზე;
- ✓ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა (ამომრჩეველთა სიებში ხელმოწერების მიხედვით);
- ✓ მიღებულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
- ✓ ბათილად მიჩნეულ საარჩევნო ბიულეტენთა რაოდენობა;
- ✓ საარჩევნო სუბიექტების დასახელება, საარჩევნო სუბიექტებისათვის მიცემულ ხმათა რაოდენობა;
- ✓ ოქმის შედგენის თარიღი და დრო;
- ✓ ოქმის ის მონაცემები, რომლებსაც არ ეთანხმება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი (ამ ჩანაწერს კომისიის წევრი აკეთებს გრაფაში „განსხვავებული აზრი“ და ხელს აწერს მას);
- ✓ ოქმის სარეგისტრაციო ნომერი, რეგისტრაციის თარიღი და დრო (აღინიშნება ოქმის გაცემისას).

**დანართი №5**

# მხარის ტექნიკური საშუალებებით დაბარების

# ა ქ ტ ი

ქ. ------------------- ,,----“ ,,----------“ 20-- წ

აქტის შემდგენი ------------------------------------------------------------------------------------

(სახელი, გვარი, თანამდებობა)

შევადგინე ეს აქტი მასზედ, რომ ---------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------------

(დასაბარებელი მხარის ვინაობა, იმ ტექნიკური საშუალების დასახელება და ნომერი, რომლიდანაც და რომელზეც მოხდა მხარესთან დაკავშირება და შედეგი)

----------------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------------

(საჩივრის განხილვის დრო და ადგილი)

----------------------------------------------------------------------------------------------------------

(საჩივრის დასახელება, რომლის გამოც ხდება დაბარება)

----------------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------------

----------------------------------------------------------------------------------------------------------

გამოუცხადებლობის შემთხვევაში მხარეს განემარტა ”საქართველოს საარჩევნო კოდექსი” საქართველოს ორგანული კანონის 77-ე მუხლის 25-ე და 31-ე პუნქტების შინაარსი

ყოველივე ზემოაღნიშნულზე შედგა ეს აქტი, რომლის სისწორესაც ხელმოწერით ვადასტურებთ

------------------------------------------------------------

(აქტის შემდგენლის ხელმოწერა)

----------------------------------------------------------------

(საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის/ცესკოს სამმართველოს უფროსის ხელმოწერა)

აქტის შედგენის დრო ---------------------------------------

# შენიშვნებისთვის

# შენიშვნებისთვის

## შენიშვნებისთვის

## შენიშვნებისთვის

შენიშვნებისთვის

# შენიშვნებისთვის

## შენიშვნებისთვის

# შენიშვნებისთვის